<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.“

2. 57-ე მუხლს დაემატოს მე-3^1 პუნქტი:

„3^1. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების ჩავარდნის შემთხვევაში, საგამოძიებო კომისიის წევრთა კანდიდატურებს, ფრაქცია, უმრავლესობა, უმცირესობა, დამოუკიდებელი პარლამენტის წევრები, ამ რეგლამენტის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული კვოტების დაცვით ხელახლა წარუდგენენ პარლამენტის თავმჯდომარეს. დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ინიციატორის მოთხოვნით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას მეორედ ჩავარდნის შემთხვევაში განმეორებით ეყრება კენჭი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე *დავით უსუფაშვილი*